წელიწადი მესამე — ფასი 10 კაპ. — ოთხშაბათი, 1917 წ. მკათათვის 12 (24)

# საქართველო

ხელის მოწერა და დაბეჭდილი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, ред. газ. „Сакартвело“, поч. ящикъ № 76
ტელეფონი 15—73

განცხადებების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 150 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 150

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

ვილენის მიმართულებით რუსის ჯარმა შეტევა დაიწყო. ზოგან სამი ვერსით წაიწია წინ. ოფიცრები თავგამოდებით იბრძვიან. აქ საერთოდ გამარჯვების ხელს უშლის ჯარის მორალური სისუსტე.

ტარნოპოლის ფრონტზე გერმანელები ისევ იერიშებით მიდიან. მათ ხელშია ვენიავა, უვოე და ბლავენტი.

საფრანგეთის ფრონტზე ცხარე ბრძოლაა კალიფორნიის ზეგანზე.

კერენსკიმ ბრძანება გამოსცა არმიის და ფლოტის მიმართ. ვინც ჯარს მოუწოდებს კანონების და სამხედრო ბრძანების აღსრულების წინააღმდეგ ისე დაისჯებიან, როგორც სახელმწიფოს მოღალატენი.

სრულიად რუსეთის ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტს და გლეხთა დეპუტატებს შეერთებული სხდომა ჰქონდათ. სხდომამ დროებითი მთავრობა რევოლუციის მხსნელ მთავრობად აღიარა. მას მიენიჭა უსაზღვრო უფლებები ჯარში წესისა და დისციპლინის აღსადგენად და კონტრ-რევოლუციასა და ანარქიასთან საბრძოლველად.

ამავე სხდომამ გამოსცა მოწოდება, მოუწოდებს მოქალაქეთ გაუფრთხილდნენ კონტრ-რევოლუციონერებს, ესენი ებრაელთა პოგრომებისთვის მოუწოდებენ ხალხსა.

### წერილები

მეთაური. ვინ გაიმარჯვა.
მ. წერეთელი. საქართველოს ეკლესიისათვის
პავლე ინგოროყვა. საქართველოს ტერიტორია (მოხსენება წაკითხული საქ. ერ.-დემ. პარტიის დამფუძნებელ კრილობაზე).
გ. ლეონიძე. სონეტი საქართველოს.
ი. ჟუნია. საარჩევნო „შეცდომები“.
ბ. ბ. ნაციონალიზმი.
ვოლხოვსკოის წერილიდან. პრ. ბენეშევიჩის ოდისეა საქართველოში.
გალ. ქავ—ძე. წერილი ქიათურიდან.
ქ. კავკასიძე. კოოპერატიული მოძრაობა დუშეთის მაზრაში.
XVIII საუკუნის ბოლშევიკები.
ადგილობრივი რეფორმა კავკასიაში

ხუთშაბათს, მკათათვის 13, შუადღის 12 საათზე, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში და ამავე დღეს ს. დგვრისში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის სტუდენტის

გრიგოლ ზურაბის ძის
ხერხეულიძის
სულის მოსახსენებლად

რასაც აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ ჩამომავლები: ოლღა და ზურაბი, ძმა—მიშა, და—სონია, რძალი—დარიკო, დიდედა—მარიამი და დეიდა ანნა.
1—705—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
X და XII უბნის კომიტეტი
ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხართუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. ლეშაძესთან და კლუბის ზუჰგალტერ კალატოზიშვილთან.
10—742—7

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი
ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან გ. ყიფიანთან.
751

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
პირველი უბნის კომიტეტი
გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12, ქართულ სადგილ-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმავლობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად.
10—755—6

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე
1917 წ. „ჩვენი ქვეყანა“ 1917 წ.
გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენი [illegible] დამლევამდი.
რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. [illegible] სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.
რედაქტორი დ. კვირკველია.

მაისის 7-დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით გაზეთი
„ჯარის კაცი“
გაზეთი წლის დამლევამდე ეღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ. Редакція газ. „Джарисъ Каци“. Почтовый ящикъ № 190
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.
10—740—8 რედაქტორ-გამომცემელი ქ. ცქიტიშვილი.

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—1)

ექიმი
გ. ფ. მგალობლიშვილი
შინაგანის და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: [illegible] ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი
გ. გ. ვეშაპიძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რამიშვილის ქუჩა, № 13.

ექიმი
გ. გ. მუსხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი [illegible]. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი ქალისა
ე. ივ. გაღარჯიშვილი-მაიეშვილისა
იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ნერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
გ. ი. შარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბეჟანიანის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სამშობიარო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

დოსტაქარი [illegible]
[illegible]
კალანდარიშვილი
[illegible]
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს იღებს
მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბანაკში

## თბილისი, მკათათვის 12.

### ვინ გაიმარჯვა

საერთო ვითარება და შედეგი მკათათვის რევოლუციისა გამოირკვა.

ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ რუსეთში შეუძლებელი და მოულოდნელი არაფერია.

შეუძლებელია ლოღიკურად რომ ერთსა და იმავე დროს გამარჯვებული დამარცხდეს და დამარცხებულმა გაიმარჯვოს. ნამდვილად კი ეს შეუძლებლობა განხორციელდა.

გავიხსენოთ მიზეზები და შედეგი პეტროგრადში მომხდარ ამბების,

კოალიცია-თანამშრომლობა დროებითი მთავრობისა დაირღვა. მკათათვის 3-ს ბურჟუაზია ჩამოსცილდა სოციალისტურ პარტიებს და მათ დაანება ბედი და იღბალი რევოლუციისა. ამის გამო მოსალოდნელი იყო ბურჟუაზიის ამხედრება. ნამდვილად კი რევოლუციონურ დემოკრატიას აუმხედრდა მისი უკიდურესი მემარცხენე ძალა. ეგრედ წოდებული „ბოლშევიზმი“ თავის ჯარით შეიარაღებული გამოვიდა წინააღმდეგ სოციალისტურ დემოკრატიისა.

რას თხოულობდა იგი?

რომ გამოცხადებულიყო მუშათა და ჯარის კაცთა დიქტატურა. რომ მთელი ძალა-უფლება გადასულიყო მუშათა, გლეხთა და სალდათთა საბჭოების ხელში; რომ ეხლავე გამოცხადებულიყო რესპუბლიკა; რომ ეხლავე გადაჭრილიყო „წყეული“ საკითხები მიწისა შრომისა და სხვა.

ამ ლოზუნგების გარშემო დაიღვარა ერთი ტბა სისხლი.

შედეგი ამ ბრძოლისა, თოფ-ზარბაზანთა ქექა-ქუხილისა და ხოცვა-ჟლეტის გასაოცარია და მოულოდნელი.

„ბოლშევიზმი“ სასტიკად დამარცხდა. მისი ბელადები დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. სახელმწიფო ღალატს აბრალებენ, რისთვისაც მათ სასტიკი სასჯელი მოელის. ამავე დროს გამარჯვებულმა სოციალისტურმა დემოკრატიამ დიქტატურა გამოაცხადა; მთელი ძალა-უფლება საბჭოთა ხელში გადავიდა; დროებითი მთავრობა მხოლოდ სოციალისტებს შერჩათ; ეს მთავრობა აცხადებს, რომ დღეს თუ ხვალ—დამფუძნებელ კრების მოწვევამდე—დაკანონდება რესპუბლიკა და გადაიჭრება „წყეული“ საკითხები შესახებ შრომისა, მიწისა და სხ.

ეს არის პროგრამა დამარცხებულ „ბოლშევიზმისა“, რომელიც უნდა განახორციელოს გამარჯვებულმა სოციალისტურმა დემოკრატიამ.

### საქართველოს ეკლესიისათვის

**საზღვარგარეთელ ქართველთა ხმა.**

ჩვენ, საზღვარგარედ მცხოვრებნი ქართველნი, ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ რუსეთის დროებით მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც საქართველოს ერსა და სამღვდელოებას დაუშალა და აღუკრძალა დაუყოვნებლივ აღდგენა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიისა. მოქმედება დროებით მთავრობისა სრულიად უკანონოა, წინააღმდეგ საეკლესიო სიმართლისა, რადგანაც საქართველოს ეკლესია ამ სიმართლით ავტოკეფალურია, მას მხოლოდ ძველის რუსის მთავრობის ძალადობის წყალობით არ შეეძლო სარგებლობა თავის უფლებებითა. ქართველი ერი და სამღვდელოება სრულიადაც არ არიან ვალდებულნი შეატყობინონ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა რუსეთის მთავრობას, რომლის კომპეტენციაშიაც სრულიად არ შედის ჩვენი ეკლესიის საკითხის გადაწყვეტა. მხოლოდ მსოფლიო პატრიარქებს—პაპს, იერუსალიმის პატრიარქებსა და სხ. უნდა შეატყობინონ ქართველმა ერმა და სამღვდელოებამ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა.—ვერავითარი დამფუძნებელი კრება რუსეთისა ვერ გადასწყვეტს კანონითა და სამართლით საქართველოს საეკლესიო საკითხს იგივე მიზეზით: მას არ აქვს ამის უფლება! ამიტომაც საქართველოში გამოგზავნა ბ ნ ბენეშევიჩისა ჩვენი ეკლესიის საკითხის შესასწავლად—სრულიად ზედმეტია და უკანონო, ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია საეკლესიო სამართლის ძალით ფაქტად ხდება, როდესაც კათალიკოსი იქმნება ამორჩეული ერისა და სამღვდელოების მიერ და ეს ეცნობება მსოფლიო პატრიარქებს.—ეს აქტი დროებითი მთავრობისა ეწინააღმდეგება აგრეთვე მისსავე პირველ მანიფესტს, რომლის ძალითაც რუსეთის სახელმწიფოში ისპობა ყოველივე ეროვნული და სარწმუნოებრივი შეზღუდვა. ჩვენთვის, ქართველთათვის კი სარწმუნოებრივ შეზღუდვის მოსპობა ნიშნავს უპირველეს ყოვლისა რუსის ექსარხოსის თბილისიდან დაუყონებლივ დათხოვნასა და საქართველოს კათალიკოზის ამორჩევას.—ასეთი მოქმედებანი დროებით მთავრობისა კარგს არას მომასწავებენ, აქ არის დასაწყისი ძველის წესწყობილებისადმი და ეროვნულ დევნისადმი დაბრუნებისა და ჩვენ ვუცხადებთ რა პროტესტს დროებით მთავრობას, წინადადებას [illegible] მას აგრეთვე, იმ რევოლუციის სახელით, რომელიც მარტო რუსის ხალხს კი არ მოუხდენია, არამედ ყველა ერებმა რუსეთისა, 1) ნუ ერევა ჩვენს საეკლესიო საქმეებში, რის უფლებაც მას არა აქვს სამართლის ძალით, 2) ნუ დაუშლის ქართველს სამღვდელოებას და ერს დაუყოვნებლივ ამორჩეულ იქმნას მათ მიერ კათალიკოზი საქართველოისა, რომელიც იქმნება მწყემსი—მთავარი ყველა მართლ-მადიდებელ ქართველთა, განსაკუთრებმით კი ჩვენს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზღვრებში, 3) მოსპობილ იქმნას თანამდებობა საქართველოს ექსარხოსისა.

ჩვენ აგრეთვე პროტესტს ვაცხადებთ ქართველი ერისა და სამღვდელოების წინააღმდეგ, რომ დაემორჩილა რუსეთის დროებით მთავრობის უკანონო ბრძანებას, და მოვითხოვთ, ამორჩეულ იქმნას დაუყოვნებლივ კათალიკოზი, რადგანაც არავითარ ძალას ქვეყანაზედ არა აქვს უფლება დაგვიშალოს გვყავდეს თავი იმ ეკლესიისა, რომელიც მე-XI საუკუნიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა მიერ დამოუკიდებლად არის აღიარებული და უფროსი არა ჰყავს, გარდა თვით საქართველოს ერისა, რომელსაც იგი ეკუთვნის.

საზღვარგარედ მყოფ ქართველთა მინდობილობით მ. წერეთელი.

ქ. სტოკჰოლმი. 2 მაისი 1917 წ.

## ომი და ზავი

### დეპეშები

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 10. **დასავლეთის ფრონტი.** დვინსკის სამხრეთ-დასავლეთით არტილერია ჰმოქმედობს. ვილენის მიმართულებით დღება კრევოს რაიონში ჩვენებმა მტერზე იერიში მიიტანეს და ცარინაგუშის უბანში მისი ასპარეზი დაიჭირეს და ზოგან 3 ვერსის მანძილზე შეიჭრნენ. 1.000 მეტი ტყვე გერმანელი წამოიყვანეს. დანარჩენს ალაგებში ჩვენს გამარჯვებას ზოგიერთა ნაწილების მორალური სისუსტე უშლის ხელს. აღსანიშნავია აფიცრების სიგმირე. თავიანთ წმინდა მოვალეობის აღსასრულებლად, განსაცვიფრებელ თავგანწირვით იბრძვიან. **ტარნოპოლის,** ბერეზოვიცა ველკას სამხრეთით მტერმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაანთო. სერეტის, სტრინისა და ზოლოტოი ლიპის მდინარეების შორის მტერი შეტევას განაგრძობს. მის ხელშია უკვე ნასტასუვი, ვენიავა, მდ. სტრიპაზე, უვოე, და ბლავენტი. მოკლულია გენერალ შტაბის პოდპოლკოვნიკი დელდი, რომელიც ჯარში წესრიგს ამყარებდა.

**რუმინეთის ფრონტი.** კეძი-ვაზღარგელსკის, ფოკშანკის და ბრაილოვის მიმართულებით საარტილერიო ბრძოლაა.

**კავკასიის ფრონტი.** უცვლელადაა.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მკათათვის 9. ოფიციალი. სენკანტენის ჩრდილო-დასავლეთით და ლანსის სამხრეთით პატრულების შეტაკებაა. მონში-ლე-პრეს აღმოსავლეთით გადავიტანეთ ასპარეზი.

**მფრინავთა მოქმედება.** ცნობაა, რომ მტერმა ფოლიკსტენ-გარვიჩის ასპარეზზე მტრის ესკადრილიამ ყუმბარები ჩამოყარაო, მაგრამ იგი მალე ჩვენმა არტილერიამ გაჰფანტაო.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა**

**პარიზი.** მკათათვის 9. ოფიციალი. იურტებიზის და კრაონის რაიონებში მთელი დღე გაცხარებული ბრძოლა იყო. ჩვენმა ჯარმა გამაცვიფრებელი გულადობა გამოიჩინა. ხელ ჩართულ ბრძოლით და ენერგიულ კონტრ-იერიშებით მტერი კაზემეტის ზეგანიდან რამდენჯერმე უკუაგდო გერმანელებმა კალიფორნიის ზეგანზე წინა ასპარეზი დაიჭირეს. ცხარე ბრძოლა სწარმოებს.

**იტალიის ბანაკის ცნობა.**

**რომი.** მკათათვის 9. ოფიციალი. მკათათვის 7-ს ღამე უმალგა-ვალპერიდან მტერი კვლავ უკუ ვაგდეთ.

**ახლო აღმოსავლეთი.** სერბეთის ფრონტზე ოჩარავინის მახლობლად მტერი თავს გვესხმებოდა, მაგრამ ვიგერიებდით. ჩვენმა არტილერიამ სოკალის დასავლეთით მტრის ასპარეზზე ცეცხლი გააჩინა.

### კრენსკის ბრძანება.

**პეტროგრადი.** მკათვის 10. ოფიციალი ბრძანება არმიას და ფლოტს. მკათათვის 8 ს 1917 წელს; მივიღე რა სამხრეთ-დასავლეთ ასპარეზზე მომხდარი ამბები და კერძოდ სამწუხარო ცნობა, კვლავ აღვნიშნავ ჯარის-კაცთა და აფიცერთა გმირობას. ეს ნათლად ამტკიცებს რევოლიუციისთვის თავდადებას. ვბრძანებ აღდგენილ იქმნას ჯარებში დისციპლინა და რევოლიუციონური ძალა. საჭიროა ხოლმე ჩამოვიშოროთ მავნე ელემენტები, რომელნიც საქმით თუ სიტყვით გულს უცრუებენ ჩვენს მხედართ. თანახმად დროებით მთავრობის დადგენილებისა მკათათვის 6 დან ყველა იმ პირთ, რომელნიც მოუწოდებენ აფიცერთა თუ ჯარის-კაცებს რათა მათ არ შეასრულონ მოვალეობა ამ დემოკრატიულ წესწყობილების დროს — მთავრობის განკარგულებით დავსჯით როგორც სახელმწიფოს მოღალატეთ. მოვუწოდებ ყველა უფროსს ჯარის შეგნებულ ელემენტებს, კომიტეტებს, გაერთიანებისკენ. ეს ბრძანება წაკითხულ იქმნას როტებში, ბატარეაში, ესკადრონებში, ასეულში, გემებზედ და სხვ.

საზღვაო და სამხედრო მინისტრი
კერენსკი.

მკათათვის 11—1917 წ.

# რევოლუცია

## დეპეშები

### ინგლისელთა აზრი მთავრობის ცვლილების შესახებ

**ლონდონი.** მკათათვის 6. რეიტერის სააგენტო ინგლისურ სარწმუნო წყაროების მიხედვით აცხადებს, რომ სრულებით გასაკვირველი არ არის რუსეთის მართველობის ცვლილება. ლვოვის გადადგომა მოულოდნელად მოხდა. მაგრამ გასაგებია, რადგანაც მრავალ მინისტრთა გადადგომამ იგი ფრიად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. კერენსკის დანიშვნა კეთილ-საიმედოა. კერენსკის ვამსგავსებთ რუსულ კრომველს. ეს არის ადამიანი კოლოსალური ნიჭით და მტკიცე გადაწყვეტილებით დაჯილდოებული. ლონდონის რუსულ ახალშენის წევრები კერენსკის დანიშვნას რევოლუციის დიდ ნაბიჯად სთვლიან.

### ინგლისი და კერენსკი

**ლონდონი.** მკათათვის 9. კერენსკის მინისტრთა თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ ლლოიდ-ჯორჯმა ინგლისელთა დღესასწაულზედ განაცხადა, რომ ეს ცვლილება უფრო ღირსშესანიშნავია, სანამ ბეტმან-ჰოლვეგის მაგივრად მიქაელისის დანიშვნაო. ეს ცვლილება თვალწინ გვიყენებს რუსეთის რევოლუციის მსხვილ ფიგურას, რომელმაც თავისი აღფრთოვანებით შთაჰბერა სული რუსეთის ძალას.

### ცენტრალ და აღმასრულებელ კომიტეტების დადგენილება

**პეტროგრადი.** მკათათვის 9. დღეს საღამოს სრულიად რუსეთის ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტისა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სხდომა იყო. სხდომაზე მინისტრმა **წერეთელმა** დროებით მთავრობის მომხდარ ცვლილებაზედ და ფრონტის მძიმე მდგომარეობაზე ილაპარაკა. დიდი ხნის ბჭობის შემდეგ ყრილობამ მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერთაგან წარდგენილი რეზოლუცია მიიღო: „ვინაიდან ფრონტისა და ზურგის მდგომარეობას შეუძლიან კონტრ-რევოლუციონურ ძალებს ფართე ასპარეზი მოუპოვოს, სრულიად რუსეთის მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოებისა და გლეხთა დეპუტ. აღმ. კომიტეტის გაერთიანებულ სხდომამ დაადგინა: 1) რუსეთსა და მის რევოლუციას საფრთხე ელის, 2) დროებითი მთავრობა რევოლუციის მხსნელ მთავრობად გამოცხადდა, 3) დროებით მთავრობას ჯარში ორგანიზაციისა და დისციპლინის აღსადგენად, კონტრ-რევოლუციონურ ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად და დეკლარაციაში აღნიშნულ პროგრამის დადებით ზომების განსახორციელებლად სრული უფლება ეძლევა, 4) სოციალისტ-მინისტრებმა კომიტეტების შეერთებულ სხდომას კვირაში ორჯელ მაინც უნდა წარუდგინონ ცნობები თავიანთ მოქმედებაზე. რეზოლუცია სოციალდემოკრატებმა ერთხმად მიიღეს. თავი შეიკავეს ბოლშევიკებმა, შეერთებულ ინტერნაციონალისტებმა, სოც. რევოლუციონერებმა, ინტერ-ნაციონალისტებმა და მენშევიკ-ინტერნაციონალისტებმა—სულ 47 კაცმა.

### ნეკრასოვი—უპორტფელოდ

**პეტროგრადი.** მკათათვის 8. ნეკრასოვი მკათათვის 4-დან მთავრობის უპორტფელო წევრად და მინისტრთა თავმჯდომარის კერენსკის მოადგილედ იქნება იმ შემთხვევებში, როდესაც კერენსკის თავმჯდომარეობა არ შეიძლება რაიმე მიზეზით.

### ეკლესიის მსახურნი უმაღლეს სასწავლებელში

**პეტროგრადი.** მკათათვის 8. სახალხო განათლების სამინისტრომ დაადგინა: მიღებულ იქმნენ უმაღლეს სასწავლებელში ეკლესიის მსახურნიც შესაფერ განათლების ცენზით.

### საეკლესიო ყრილობა

**პეტროგრადი.** მკათათვის 8. გამოქვეყნებულია უწმ. სინოდის დადგენილება, რომლითაც მარიამობისთვის 15 ქ. მინსკში შესდგება ადგილობრივი საეკლესიო ყრილობა რუსეთის მართლმადიდებელის ეკლესიისა.

### მთავრობა და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგები

**პეტროგრადი.** მკათათვის 8. დროებითმა მთავრობამ პრინციპიალად მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგების: შჩეპკინის, თავ. ურუსოვის, ვირუბოვის და ლეონტიევის სამსახურიდან დათხოვნის შუამდგომლობა, მაგრამ ვიდრე მათ თანამდებობაზე სხვებს დაამტკიცებდნენ, მათ სამსახურში დარჩენა სთხოვა.

### თავისუფლების სესხი

**პეტროგრადი.** მკათათვის 9. დროებით მთავრობის მიერ თავისუფლების სესხზე ხელის მოწერამ სამ მილიარდ მანეთს გადააჭარბა (პირველი სამხედრო სესხი 1916 წ. 1,5 მილიარდი მან. და მეორე სესხი 1916 წ.—1, 6 მილ.) [illegible]

### ცენტრალ. და აღმასრულ. კომიტეტის მოწოდება

**პეტროგრადი.** მკათათვის 10. [illegible] შემდეგი მოწოდება გამოსცა: „მოქალაქენო! თქვენ მოგმართავთ სრულიად რუსეთის ცენტრალი ორგანოები მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებისა. მრისხანე საათმა დაჰკრა. მტერმა რევოლიუციონერ რუსეთის ფრონტი გაარღვია. უწესოდ და უთავბოლოდ უკან იხევს ჩვენი რესპუბლიკანელი ჯარი. ჩვენი სამშობლოს ახალ ოლქებს მტერი ხელში ჩაგდებას ემუქრება. დაჰკრა მრისხანე საათმა. ჩვენს დედა ქალაქში შეიარაღებული ხელი ასწიეს დაბრმავებულმა უგნურებმა. დარღვევამ და ანარქიამ დაიყო ბატონობა რუსეთში. გამოცოცხლდნენ ბნელი ძალები. მათ საშოვარის სუნი აიღეს. მათ ჰგონიათ, რომ ყველა უფლებაწართმეული მონები შევიქმნით, [illegible] სუფევს [illegible] ტანჯულ სამშობლოს. ისინი ძირს უთხრიან რევოლიუციონერ დემოკრატიის ორგანოებს, რევოლიუციონერ მთავრობას. ბნელი ძალები ხალხს ებრაელთა ასაწიოკებლად მოუწოდებენ, თავნებობით დატუსაღების, ძალადობის დარბევისაკენ. ისინი ჰმოქმედობენ რევოლიუციის მხსნელთა სახელით, თქვენს გულისყურს ამონებენ და გპირდებიან იმ სამარცხვინო წყობილების აღდგენას, რომლის საშინელებაც ჯერ კარგად გახსოვთ.

მოქალაქენო! თუ ამას დაივიწყებთ, —თქვენ ძველებურზე უფრო მწარე მონობის უღელი მოგელით. კვლავ მრავლად დაიღვრება ხალხის სისხლი. კვლავ გაივსება სატუსაღო თუ კატორღა. შესწყდება მრეწველობა, მოუსავლობა და სიმშილი დაისადგურებს სოფლებში. მთლად ჩაკვდება სახალხო სწავლა განვითარება, თავისუფალი სიტყვა და სინიდისის თავისუფლება. ყოველი ერი, ყოველი ოლქი თავისუფალ თვითმმართველობის იმედს უნდა გამოეთხოვოს. საჭიროა რაინდული ზომები. ვისთვისაც ჯერ კიდევ ძვირფასია რუსეთის თავისუფლება, ვისაც კი არ დავიწყებია თვითმპყრობელობის ბასრი ბრჭყალები, ვისაც სამშობლოს მტრის ხელში ჩაგდება არა სურს—იგი სამშობლოს დაცვას საქმით უნდა ემსახუროს. ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა, რომ დროებით მთავრობას ეკუთვნოდეს ყველა საგანგებო რწმუნებულება. დაე მთავრობამ მრისხანე ხელით ჩაჰკლას ანარქიის იმედი. დაე გაატაროს ყველა ის ზომები რომელიც კი ერთობ საჭიროა რევოლიუციისათვის. თვითეულ თქვენთაგანმა მას მხარი უნდა [illegible] ცის“.

# რუსეთი და უცხოეთი

### მადრიდის დაწყნარება.

**მადრიდი.** მკათათვის 7. შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მდგომარეობა უმჯობესდებაო ვალენსიის ქუჩებზე მცირე ბრბო-ღა [illegible]. დილის დილით სან-სებასტიანოში მოვიდნენ მეფე-დედოფალი. ხალხი მათ დიდის ამბით შეეგება.

### ვენიზელოსის პოლიტიკის გამარჯვება.

**ათინა.** მკათათვის 6. აქ ვენიზელოსის პოლიტიკა აღიარეს. ქალაქებში თუ პროვინციებში დიდად თანაუგრძნობენ ვენიზელოსს.

### ურკინობა.

**ეკატერინენბურგი.** მკათათვის 9. სამეურნეო იარაღისთვის რკინა აღარ იშოვება. მკათათვის 9-ისთვის დანიშნულია ლითონის ნამტვრევთა შეგროვება.

**მადრიდი.** მკათათვის 9. ვალენსიაში საალყო წესებია შემოღებული.

### ათონის მთის ევაკუაცია.

**ათინა.** მკათათვის 7. დადასტურებულია ათონის მთის ევაკუაციის ცნობა ფრანგ-რუსის ჯართა მიერ.

### ვენიზელოსის დაბრუნება.

**სოლუნი.** მკათათვის 9. ვენიზელოსის დაბრუნებამ მაკედონიის მცხოვრებთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. საბერძნეთის ლაშქარი მოხალისეებით ივსება. მოხალისეებად ჩაეწერნენ მაკედონიის სკოლების მასწავლებელნი. მაკედონელთა ქცევამ ბრძოლის ველზე დიდი აღტაცება გამოიწვია.

# დეპეშები პეტროგრადიდან

**ლენინი ჯერ არ დაუჭერიათ. იგი იმალება—ხალხის გასამართლების ეშინია.**

—

**კრონშტადტის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო მორჩილებას უცხადებს მთავრობას.**

—

**კერენსკის მატარებელი პოდლოცკთან ორთქლმავალს დაეჯახა. კერენსკი გადარჩა.**

—

„ბოლშევიკების“ მიერ [illegible]

[illegible]

# ქრონიკა

## თბილისი

◆ ამიერ კავკ. საგან. კომიტეტის [illegible] ბის კომისრად—პორ. სტეფანოვი.

◆ **რწმუნებულების გამოცვლა.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულთა მაგიერ კოლეგიალურ ნიადაგზე ოთხ სრულუფლებიან წევრთაგან კომისარიატის შედგენა გადასწყვიტა. კომისარიატში შევიდენ თავმჯდომარე (რუსი) და 3 წევრი (ქართველი, სომეხი და მუსულმანი).

◆ **წყლის კრიზისი თბილისში.** ინჟენერ ლ. დიასამიძის პროექტმა, შესახებ წყლის განაწილებისა თბილისის სხვა და სხვა რაიონში კარგი ნაყოფი გამოიღო; წყალი თითქმის ყველგან საკმაო იყო, ვინაც დანიშნულ დროზე ისარგებლებდა. მაგრამ უკანასკნელ დროს ავჭალაში მტკვარი მოულოდნელად გადავარდა მარჯვენა ნაპირისაკენ და სამუშაო არხი უწყლოდ დარჩა. ამ გარემოების გამო ორი მანქანის მუშაობა შეჩერდა. ამავე დროს ორთქლის მანქანა „კოკერილ“ გაფუჭდა და მუშაობა შესწყვიტა. ამ რიგად ისედაც მცირე ძალა წყლის მომცემი მანქანებისა კიდევ უფრო დაცოტავდა და თბილისში დიდი კრიზისია წყლისა. ღონისძიებაა მიღებული, რომ ავჭალაში ამ 2—3 დღეში გასწმინდონ სამუშაო არხი და წყალს თავისი წინანდელი მსვლელობა მისცენ. როცა ეს მუშაობა დამთავრდება, წყლის რაოდენობა იმატებს თბილისში.

◆ **ნიხრის დარღვევა.** ქალაქის სასურსათო კომიტეტის მიერ დაწესებულ ნიხრს თითქმის არც ერთი ვაჭარი არ ემორჩილება. ამ ნიადაგზე მუდამ დღე ხშირი შეტაკება ხდება ვაჭრებსა და მუშტრებს შორის.

◆ **კლუბების მოსამსახურეთა გაფიცვამ** ერთობ გაართულა საქმის მდგომარეობა კლუბებში. მკათათვის 10-ს კლუბებს ელექტრონის სინათლე აღარ მისცა გაფიცულების მომხრე ელექტრონის სადგურების მოსამსახურეთა კავშირმა. სინათლე არ მოჰკლებია მხოლოდ ზოგიერთ კლუბების თეატრებს, საცა წარმოდგენა იყო გამართული, მაგ. არტისტიულ საზოგადოების თეატრს. კლუბების კავშირს დაუდგენია ზარალი უჩივლოს მოსამსახურეთა კავშირს სინათლის ჩაქრობისათვის. აგრეთვე კავშირს კომისია აურჩევია, რომელსაც დავალებული აქვს საქმის ვითარება დაწვრილებით გაგებინოს ჯარის-კაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს.

◆ **დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა.** მკათათვის 10-ს ქალაქის საბჭომ შეი- [illegible] 1,202,066 მან.

◆ **ქალაქის** [illegible] დღეს, უთუოდ და ჩნენ თბილისში.

◆ **ავტომობილების მსხვერპლნი.** შოფერებზე არავითარმა განკარგულებამ და სავალდებულო დადგენილებამ გავლენა არ იქონიეს. ისინი, განსაკუთრებით სამხედრო შოფერები, ძველებურად განაგრძობენ მოურიდებლად თარეშს. მკათათვის 9-ს ზედიზედ სამი კაცი გახდა სამხედრო ავტომობილების მსხვერპლი,

◆ **პრეზიდიუმის არჩევა.** დღეს, მკათათვის 12-ს, ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტთან არსებულ საოლქო საბჭოს სხდომაა დანიშნული პრეზიდიუმის ასარჩევად. ეს სხდომა მეორეთხელაა დანიშნული ამ საგნისათვის, რადგან საჭირო არ შესდგა სხდომა საკმაო წევრთა რიცხვის დაუსწრებლობისათვის.

◆ **დატუსაღება.** თიბათვის 10-ს გოლოვინის პროსპექტზე, გაზ. „რესპუბლიკის“ რედაქციასთან, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის ორდერით დააპატიმრეს ინჟენერი ი. გ. ზუნთურიძე, მაგრამ თავდებობით ისევ გაანთავისუფლეს. ზუნთურიძის აბრალებენ, ვითომც მას ხმამაღლა ეთქვას ჯარის კაცთა ჯგუფისათვის, რომ უსამართლობაა ლენინის დატუსაღებაო.

## კავკასია

◆ **პეტროგრადის ამბების გამო.** სასახლის თეთრ დარბაზში ე. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით შესდგა შეერთებული კრება კავკ. საოლქო კომიტეტისა, მუშათა და სალდათთა და გლეხთა საბჭოების დეპუტატთა. მოხსენება პეტროგრადის ამბების გამო წაიკითხა გეგეჭკორმა. კრებას მოხსენების შემდეგ ორი რეზოლიუცია წარედგინა დასამტკიცებლად მენშევიკ-რევოლიუციონერებისა და ბოლშევიკებისა. მიღებულ იქმნა მენშევიკ-რევოლიუციონერების შემდეგი რეზოლიუცია: 1) კადეტების გასვლა დროებით მთავრობის შემადგენლობიდან რევოლიუციის ნამდვილი ღალატია. ხალხის თავისუფლების პარტიამ თვისი გაქცევით დაამტკიცა რომ მსხვილ იმპერიალისტურ ბურჟუაზიის ინტერესებს იგი მაღლა აყენებს ქვეყნისა და რევოლიუციის ინტერესებზე. 2) პეტროგრადის გარნიზონის და მუშების უმცირესობის გამოსვლა მოასწავებს რუსეთის რევოლიუციონურ ძალების დეზორგანიზაციას და თავის სურვილის თავზე მოხვევას მთელ რუსეთის რევოლიოციონურ დემოკრატიისათვის. თავის გაბედულ ზომებით,

# საქართველოს ტერიტორია*)

საქართველოს პოლიტიკური საზღვრები ხშირად იცვლებოდა წარსულში, მაგრამ საქართველო ყოველთვის ერთსა და იმავე ტერიტორიას ერქვა. ეს არის ის რვა პროვინცია, რომელზედაც ქართველი ერი მოსახლეობს მრავალ საუკუნეთა ისტორიის მანძილზე: ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო (ანუ მესხეთი—ჯავახეთით), იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი. ამ ტერიტორიის საზღვრები შემდეგია:

ჩრდილოეთით—კავკასიონი გაგრის თავიდან გიშის თავამდე საზღვარი მისდევს ჯერ ბზიფის სანაპირო გაგრის მთაგრეხილს, რომელიც ბუნებრივ ზღუდედ ამართულა აფხაზეთსა და ყოფილ ჯიქეთს შუა, აქედან მიჰყვება კავკასიონის მთავარ ქედს ვიდრე ხევამდე. ხევიდან საზღვარი გადადის კავკასიონის პირიქითელ შტოზე, შემოჰხაზავს ხევს, ხევსურეთს, თუშეთს და თუშეთიდან ხელ-ახლა მიჰყვება მთავარს წყალთა გამყოფს ქედსა ვიდრე გიშის-თავამდე საინგილოს ბოლოში.

აღმოსავლეთი საზღვარია გიშის-წყალი და ხაზი მტკვარ-ალაზნის შესართავამდე.

სამხრეთით—ჯერ მტკვარი ალაზნის შესართავიდან ქციის შესართავამდე, შემდეგ სისტემა მთებისა: ხუნანის ქედი, მტკვარ-არაქსის წყალთა გამყოფი ქედი, აბოცისა და ჩილდირის პლატოს სამხრეთი კიდე, ირაჯლუს (მესხეთის) ქედი, აქედან—უკვე ოსმალეთის საქართველოში—საქართველოს ყელის შტო, რომელიც გადასჭრის ჭოროხის ხეობას საქართველოს ყელთან (გურჯი-ბოღაზთან), ლაზისტანის ქედი და აქედან ჩამოსული შტო, რომელიც მიადგება შავ-ზღვას რკინის—პალოსთან რიზეს სამხრეთ.

დასავლეთი საზღვარია—შავი ზღვა რკინის პალოდან გაგრის კარებამდე.

ამ ტერიტორიას დღევანდელის ადმინისტრატიულის დანაწილებით შეიცავს—ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის მხარე, სოხუმისა, ზაქათალის, არტაანის და ოლთისის ოლქები და ჩამონაჭრები მიწერილი არა-ქართულ ადმინისტრატიულ ერთეულებზე: ჩრდილოეთი კუთხე აფხაზეთისა—მიწერილი სოჭის ოლქზე (გაგრის უბანი), მტკვრის განაპირა ნაწილი კახეთისა—მიწერილი განჯაზე (ჯერან-ჩოლურის და ქეშმო-ყარაიაზის ველები), და ქართლის სამხრეთი სანაპიროები მიწერილნი ერევანსა და ყარსზე (ზამბაკი და აბოცი); ამათ გარდა ქისტეთის რამდენიმე სოფელი მიწერილია ჩვენს ხევსურეთზე (სახანოს და ტოგოს საზოგადოებანი), ხოლო ხევის განაპირა ნაწილი დარიელადან ჩიმამდე მიწერილია თერგის მხარეზე (სოფ. ლარსი და მისი რაიონი), და აგრეთვე საინგილოს განაპირა კუთხე გიშის წყალმდე მიწერილია—ნუხის მაზრაზე (საზოგადოებანი: ლანფხა, ჯუნუთი, ბილაჯიქი, ოხუთი, კახშუხი);—ეს რუსეთის საქართველო. ოსმალეთის საქართველოს ტერიტორიას შეადგენს ცოტა მეტ-ნაკლებობით კისკიმის, თორთუმის და ისპირის ყოფილი კაზები და ლაზისტანის ყოფილი სანჯახი.

ასეთია საქართველოს საზღვრები. მთელს ამ ტერიტორიაზე, სულ ბოლო დრომდე, მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე ერთიანი ქართული მოსახლეობა იყო. წარსულ საუკუნეში კი (ნაწილობრივ წინადაც) ზოგ ოლქებში უცხო ელემენტები გაძლიერდა. უნდა შევნიშნოთ რომ ყველა ასეთი ოლქები მდებარეობს საქართველოს განაპირებზე და რაც შეეხება საქართველოს მთავარ მიწა-წყალს, ცენტრს, აქ ეროვნული ერთფეროვნება დღემდე წმინდად არის დაცული. აქ არ არის არც ერთი ოლქი, სადაც ქართველობა აბსოლუტურ უმრავლესობას არ წარმოადგენდეს.

ეს განაპირა კუთხეები სადაც დღეს უცხო ელემენტები სჭარბობენ ქართველობას—შემდეგნია: სამცხე-საათაბაგოს სამხრეთ-აღმოსავლეთი სექტორი, და განსაკუთრებით ერთი მისი ოლქი ჯავახეთი, სადაც უმრავლესობას სომხები შეადგენს. სამხრეთი ქართლის ოლქები—ბორჩალო და ლორი—სადაც უმრავლესობა სომხები და თათრები (თურქები) არიან. კახეთის აღმოსავლეთი ოლქი—საინგილო, სადაც უმრავლესობას შეადგენენ ლეკის ტომები—ჭარელები და წახურელები.

დღეს როდესაც კავკასიის ერების ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი დაისვა, ეს განაპირა ოლქები სადაოდ იქნენ გამოცხადებულნი. გვეუბნებიან: ეს მხარეები უნდა ჩამოეჭრას საქართველოს და საბუთად მოჰყავთ დღევანდელი მოსახლეობა ამ ოლქებისა.

რეალური მოსახლეობის პრინციპი თავისთავად ყველად სამართლიანია, რასაკვირველია, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ კი ეს სამართლიანობა დარღვეული არ ყოფილა მოსახლეობის ეხლანდელი სახის შექმნის დროს. საქართველოს შესახებ კი ეს არ ითქმის. თუ ქართველი ერის მიწა-წყალის ზოგი ძირეული, ქართული ოლქი დღეს რეალურად ქართული აღარ არის, ეს ბუნებრივი ისტორიული პროცესის ნაყოფი კი არ არის, არამედ შედეგია ძალმომრეობა-უსამართლობისა და გამოწვეულია მით, რომ აქ ხელოვნურად გაძლიერებულ იქმნა უცხო ელემენტები. ამ მხრივ წარსული საუკუნე, საუკუნე რუსთა მფლობელობის დამკვიდრებისა ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით საზიანო იყო საქართველოს მთლიანობისათვის. რუსების პოლიტიკა ჩვენში აშკარად იყო მიმართული იქითკენ, რომ საქართველოს ტერიტორია ყველაზე ერთფეროვანი ეროვნულად ეთნოგრაფიულად აეჭრელებინათ და ამით გამოეწვიათ ჩვენი დასუსტება. სწორედ რუსეთის ამ პოლიტიკის წყალობით მოხდა მასსიური ემიგრაცია მაჰმადიანი ქართველობისა სამცხე-საათაბაგოს ოლქებიდან და მათ ნაოხარზე გადმოსახლებული იქმნენ უცხოელები. ამავე გზით, კოლონიზაციის საშუალებით დაიპყრეს უცხოელებმა სხვა ძირეული ქართული ოლქებიც. საქართველოს განაპირა პროვინციების გადარჯულება ერთნაირი ძალმომრეობა იყო და დღევანდელის რეალური მოსახლეობის მიხედვით გადაჭრა ამ ოლქთა საკითხისა—ახალი უსამართლობა იქნებოდა, ძალმომრეობის დაკანონება. ქართველობა რასაკვირველია ვერ შეურიგდება ამ ძალადობას და ეს მეტის უფლებით ვიდრე მაგ. ირლანდიელები ულსტერის დაკარგვას, ან ჩეხები ბოჰემიის ჩამოშორებას; ქართველობა ვერ იტყვის უარს თავის სამშობლოს მიწა-წყალზე, რომელიც მორწყულია მისი ოფლითა და სისხლით, რომელთანაც შეკავშირებულია წარსულითა და ისტორიულის ტრადიციებით, რომელთანაც გადაბმულია იგი თანამედროვე რეალურის ინტერესებითაც. ჩამოჭრა საქართველოსაგან ამ საუკეთესო, უმდიდრესი პროვინციებისა იმიტომ მხოლოდ, რომ აქ ჩვენი უუფლებობის ხანაში ხელოვნურად შექმნეს სხვა ერების უმრავლესობა, ეს იქნებოდა პირწავარდნილი გაძარცვა ქართველი ერისა და მისი უფლებების აბუჩად აგდება.

ამნაირად, წამოყენება რეალური მოსახლეობის პრინციპისა საქართველოს განაპირა ოლქთა შესახებ ყოვლად შეუფერებელია და უსამართლო... მაგრამ უნდა ითქვას ისიცა, რომ თუ უფრო ფართედ დავაყენებთ საკითხს, და ავიღებთ არა ცალკე კუთხეებსა, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობას, და შევუდარებთ მთელი სომხეთ-ადერბეჯანის მოსახლეობასთან, მაშინ რეალური მოსახლეობა არსებითად ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს. მომხსენებელმა წარმოადგინა საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის სურათი, დამყარებული პირველ-წყაროების დეტალურ შესწავლაზე და დაარღვია ის ყალბი სტატისტიკური ანგარიშები, ჩვენს ლიტერატურაში რომ არის გავრცელებული. მომხსენებელმა დაამტკიცა ციფრებით, რომ ის შეხედულება, რომ საქართველო ძალზე აჭრელებული იყვეს ეთნოგრაფიულად არ შეეფერება სინამდვილეს, პირიქით იშვიათია მეორე დამოკიდებული ერი, რომელსაც ასეთი ეროვნულად ერთფეროვანი ტერიტორია ჰქონდეს. ამ მხრივ შედარება არ შეიძლება საქართველოს ეთნოგრაფიული მთლიანობისა ადერბეჯანის და მით უფრო სომხეთის მოსახლეობასთან, სადაც უცხოელები მთელი მოსახლეობის 45 პროცენტს შეადგენს.

მიუხედავად ამისა ადერბეჯანსა და სომხეთს საზღვრების გადამიჯვნით ბევრი არაფერი დააკლდებათ. მიზეზი ის არის, რომ საქართველოში უცხოელები მოსახლეობენ პერიფერიებში, ადერბეჯანში და სომხეთში კი ცენტროში. თუ მივიღებთ ეხლა გადამიჯვნის იმ პროექტსა, რომელსაც იძლევიან ჩვენი რეალური მოსახლეობის პრინციპის მომხრენი, გამოვა რომ — სომხეთი, მაგალითად, ეთნოგრაფიუ-

*) მოხსენება წაკითხული საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზედ.

ამ ელემენტთა წინააღმდეგ. ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მუშათა სალდათთა და გლეხთა დეპუტატებისამ აშკარად დაამტკიცა, რომ იგი ღირსია იმ უაღრეს როლისა, რომელიც ყველა რევოლიუციონურ დემოკრატიის ნებსით მას დეეკისრა, იმ როლისა, რომელსაც რევოლიუციის უფლებათა დაცვა აქვს დასახული მიზნად შეერთებული სალამს უძღვნის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და აუწყებს, იმედი ჰქონდეს კავკასიის დემოკრატიის და მთელ კავკ. რევოლიუციონურ ჯარის, ვინაიდან რევოლიუციონურ წესწყობილების განმტკიცება და რევოლიუციის გამაგრება უპირველეს მოთხოვნილებას შეადგენს რევოლიუციონურ მომენტისას. შემდეგ არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ევგ. გეგეჭკორი, თავმჯდომარის ამხანაგებად ექიმი დონსკოი და ნ. რამიშვილი, მდივნად იდაშკანი და წევრებად ბერიოზოვი, ზეინალოვი, ბეკზადიანი თარხანოვი და გაზაზიანი.

◆ **ქალაქის და სოფლის აღწერისათვის** კავკასიის მთავარ სამმართველოსთან არსებულ ცენტრალურ ბიუროს გამოუცია სახელმძღვანელო წიგნაკი აღმწერლებისათვის, სადაც ამნაირ უმსგავსოებას ვკითხულობთ: „ყოველ პირის გასწვრივ აღინიშნება ეროვნება ე. ი. რა ერის, ხალხს ეკუთვნის— ყაზახელ, კავკასიელ და ყირიმის თათრებს, სომხებს, ქართველებს გურულებს, მეგრელებს, იმერლებს, ოსებს და სხვ. (25 გვ. 9 მუხლი).

◆ **დამფუძნებელ კრების სამზადისში.** მკათათვის 6-ს, დეპ. აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით შესდგა კრება დამფუძნებელ კრების საკითხის განსახილველად. ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ კავკასია 5 საარჩევნო ოლქად დაიყოს და ეს დადგენილება ეცნობოს დეპეშით მთავრობას.

◆ **ოსეთის ბრიგადის გადმოყვანის უარი.** ამას წინედ მთიელთა და ოსთა მთავარმა კომიტეტებმა ითხოვეს, ოსთა ქვეითა სათადარიგო ბრიგადის ასეულები და ცხენოსანთა დივიზია ჩრდილოეთ კავკასიაში გადმოიყვანეთო. მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ ადგილობრივ ცუდი პირობებია და ექსცესებია მოსალოდნელიო.

ეხლა გამოირკვა, რომ კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის პოლიტიკის მიზეზით, უმაღლეს მთავარსარდალს ოსების თხოვნა არ შეუწყნარებია. მიზეზად შემდეგს ასახელებენ: 1) ამ ხანად ჩრდილო კავკასიაში შესამჩნევად გავრცელდა და ძლიერდება ძარცვა-გლეჯა-ყაჩაღობა, 2) სათადარიგო ასეულების შევსების საქმე ჩრდილო-კავკასიაში ვერ გაუმჯობესდება, რადგანაც ყველა საშუალებანი უკვე გამოცდილია. 3) [illegible] სწავლება ადგილზე არ არის დამოკიდებული; 4) მხედრები რომ თავიანთ ნათესავებთან ახლოს იყვნენ, დეზერტირობა უფრო გახშირდება და ამას გარდა მხედრები თვითონ ჩაერევიან ეროვნულ შუღლში; 5) ერთი იმ მიზეზთაგანი, რომ ოსთა პოლკები შევადგინეთ, ის იყო, რომ მოუსვენარი ელემენტები მოგვეშორებინა ადგილისთვის.

◆ **ცირკულიარი მომუშავე მხედარ ტყვეების შესახებ.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა ცირკულიარული ბრძანება დაუგზავნა საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების შესახებ მომუშავე სამხედრო ტყვეებისა. კომისარიატი იწერება, რომ უკანასკნელ ხანებში დიდძალი ტყვე მხედრები იპარებიან სამუშაოდან და ეს გარემოება საშიშროებას უქადის რევოლუციასო. ამიტომ კომისარიატი წინადადებას აძლევს აღმასრულებელ კომიტეტებს სასტიკი ღონისძიება იხმარონ, რათა ტყვე მხედრები არ გაიპარონ სამუშაოდანო.

◆ **ჯარების გაგზავნა.** კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბმა, ერევნის გუბერნიის წარმომადგენლებთან შეთანხმებით ერევნის გუბერნიაში გაჰგზავნა მე-66-ე დივიზიის ერთი ბატალიონი 4 ტყვიისფრქვეველით, ტერის დრაგუნთა სამი ესკადრონი და ყაზახთა ორი ასეული.

◆ **სასურსათო კომიტეტები.** დღეს, მკათათვის 12-ს, თბილისში დაიწყება კავკასიის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტების დელეგატთა ყრილობა. თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის დელეგატებად არჩეული არიან ნ. ზ. ელიავა და ი. ზ. ფირუმოვი. ყრილობამ უნდა განიხილოს სასურსათო, საფინანსო და საადმინისტრაციო საკითხები, სხვათა შორის ყრილობა განიხილავს საკითხს შესახებ წლევანდელი წლის ჰურნახულის დროზე აღებისა, ანგარიშის შედგენისა და გონივრულად განაწილებისა.

◆ **მიწების გასასყიდ გადასახადების მოსპობა.** ამიერ-კავკასიის საგან. კომიტეტმა სასურველად სცნო განახორციელოს სამიწო კომისიის დებულება მიწის გასაყიდვის გადასახადების მოსპობის შესახებ. ამის გამო დაადგინა დროებით მთავრობის წინაშე საჩქაროდ იშუამდგომლოს.

## საქართველო.

◆ **წერა კითხვის საზოგადოების** არმავირის განყოფილება სთხოვს საზოგადოების მთავარ გამგეობას, უშოვნოს მას სკოლის მასწავლებელი. თვიურად ჯამაგირი ექნება 100 მანეთი და აგრეთვე მუქთად ბინა, მოსამსახური, შეშა და განათება.

◆ **ჩრდ. დასავლეთის ფრონტის ქართული დელეგაცია.** მკათათვის 10-ს, ჩრდილოეთის ფრონტის ერთ ერთ კორპუსში მყოფ ქართველთაგან, ჩამოვიდნენ დელეგატები: ექ. მიხ. იშხნელი, ჯარის კაცები ვასილ ხარებაშვილი და ივლიანე თოფურია. დელეგატებს დავალებული აქვთ: 1. მოელაპარაკონ ქართველ სამხედრო კავშირის გამგეობას სრულიად საქართველოს ქართველთა ჯარის კაცთა დელეგატების ყრილობის მოწვევის შესახებ ქ. თბილისში არა უგვიანეს მარიამობისთვის 1-სა 2. ქართ. სამხ. კავშირის გამგეობას უნდა წარუდგინოს კორპუსის ქართველთა შემუშავებული საერთო ყრილობის დღის წესრიგი. 3. დელეგატებს ევალებათ ქართ. სამხ. კ-ვ-ში ან სხვაგან სადმე ოფიციალურ მსჯელობა-კამათში დაიცვან საქართველოს ეროვნულ ტერიტორიალური ფართე ავტონომია. 4. ამ დებულებათა განსახორციელებელ მუშაობაში დელეგატებს ეძლევათ ურთი ერთ თანხმობანი მოქმედების დამოუკიდებლობა და შეუძლიათ პირადი ან წერილობითი მოლაპარაკება გამართონ ქართველთა სამხედრო კავშირებთან და პოლიტიკურ პარტიებთან, საქართ. ყველა ქალაქებში და ჯარის ნაწილებში სადაც საჭირო იქნება.

## ქუთაისი.

◆ **დიაკონ-მედავითნეთა კრება.** დღეს, მკათათვის 12-ს, ქუთაისში დანიშნულია ქუთაისის ეპარქიის დიაკონ-მედავითნეთა კრება. თბილისის დიაკონ-მედავითნეთა ორგანიზაციიდან კრებაზე დასასწრებლად გაწვეულია მთავარი ტიმოთე ბაკურაძე.

◆ **შეცდომის გასწორება.** „საქართველოს“ მე-140-ე №-ში ცნობა იყო მედავითნეთა კრების შესახებ. ცნობაში ნახსენები იყო, რომ კრებამ მხარი დაუჭირა სამღვდელოების დადგენილებას, შესახებ იმისა, რომ მთავარ-დიაკონებს მიეცეთ ერთი მესამედი შემოსავლისაო, უნდა იყოს ორი მეხუთედი.

◆ **დაკარგული ჯარისკაცი.** ჯარისკაცი პიმენი პახვალის ძე ფარცვანია მსახურობდა მე-223-ე სათადარიგო პოლკში მე-2-ე როტაში, 6-ს თვეა რაც არავითარი ცნობა მოგვსვლია მის შესახებ. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობეთ შემდეგის მისამართით:—თბილისი. შტაბის ქუჩა სასტუმრო „ფრანცია“ მიშა ჯანაშიას.

# საქართველოში

III. **სონეტი მეორე.**

ლურჯ ღრუბლივით დამადარდე შენი მხედარი.
როს შენს კალთაში დავინახე მჭკნარი მანდარ —
შეშლილ ქალივით აგვატირებს ჩვენ საზანდარი—
ორივ ჩვენივე უმზეობის მოწამედ არი...

მე ღრუბლებში ვთვლემ—ელვასავით შესახედარი:
წუთს ველოდები—როს აგვრგვინდეს ჩემი ძახილი
შურის ძიებამ გაამტვეროს მტრის მურდახილი.
ოქროს ზარნიშით მოგვიქსოვოს დილა ნეტარი..

ამღერდა სისხლი.. და დაათრო სული და გული,
თუ მზე მომპარეთ—გამინათებს ბნელში ფრანგული
წკრიალა ხანჯლებს გვიელვარებს შოთას ოცნება..

არწივის ფრთებით დამიბრუნეთ გვირგვინოსნება!
მინდა ბისონზედ აციგლიგდეს ალმასის ღილი.
და ჩემს გუმბათებს შეეფინოს სხივთა ქანქალი!..

**გ. ლეონიძე.**

# თვითმართველობა კავკასიაში

ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა მთავარ მართველობასთან ბ. ბ. ვესელოვსკის თავმჯდომარეობით ბჭობები იმართება. ბჭობის საგანია კავკასიის თვითმართველობის და მმართველობის რეფორმათა მთავარი დებულებები. ბჭობაში მონაწილეობენ ადგილობრივ ეროვნებათა წარმომადგენელნი:

ქართველებისაგან—სენატორი ზ. დ. ავალოვი, ა. მ. ხოშტარია, გ. დ. სიდამონ-ერისთავი, გ. ლორთქიფანიძე და სხ.—სომხებისაგან—ბ. ბ. ადოიანცი, ხატისოვი, ათაბეგოვი, სალატელიანი და სხ. მუსულმანებისაგან—ბ. გ. ვენილოვი, ხოისკი და სხვ. მთიულებისაგან—ფ. ჯაბაგიევი და სხ. საქმის წარმოება ჯ. ვ. კეგამოვს აბარია. ბჭობაზე შემუშავებული პროექტები საბოლოოდ ამიერ კავკასიის კომისარიატს გადაეცემა.

უკანასკნელ სხდომაზე ბჭობამ დაადგინა:

1) კავკასიის საერობო დაწესებულებათა ფორმის პრინციპად სამხარისხოვანი ერობა იქმნას მიღებული.

2) წვრილ ერობის ერთეულ ფუძედ ჩაითვალოს ისეთი უბნები, სადაც 10—15 ათასი მცხოვრებნი არიან; ამასთან მცხოვრებნი ერთ ეროვნებას უნდა შეადგენდნენ. სასურველია აგრეთვე, რომ სოფლის და საზოგადოებების მცხოვრებნი არ დანაწილდნენ.

3) რომ ტერიტორია წვრილ ერობის ერთეულებად დაიყოს. ამისათვის საჭიროა, რომ თვითეულ მაზრაში ერობის რეფორმათა ცხოვრებაში გამტარებელი საგანგებო კომისიები დაარსდეს. ამ კომისიების არჩევის წესსა და შემადგენლობას ბჭობა შემდეგ განმარტავს. საზღვრების უკანასკნელ ფიქსაციას მომავალი საერობო ყრილობები დაადგენენ.

# საარჩევნო შეცდომები

როცა ქალაქში აღწერა უნდა მოეხდინათ საქალაქო არჩევნების ახალი კანონით მოსახდენათ, ისინი, ვისაც დროთა გარემოებისამებრ მინდობილი ჰქონდათ ამ საქმის ხელმძღვანელობა, ეძებდენ აღწერის მოსახდენათ არა ცოდნისა და გამოცდილების კაცებს, არამედ პარტიის კაცებს და ისიც მხოლოთ თავის პარტიისას...

თითებით დაითვლის კაცი იმათ, ვინც მათი პარტიისანი არ არიან და აღმწერელთა შორის კი მოექცნენ, შეცდომით ან გაუგებრობით, რაღა თქმა უნდა...

პარტიის კაცობას უფრო აქცევენ ყურადღებას მაშინ, როცა საქმე ქართველის არჩევანზე მიდგებოდა.

ადგილი მისახვედრიც არის თუ რატომ: ყოველივე ბოროტება იმ გზით უფრო ადვილათ მიდის, რა გზაზედაც უფრო ნაკლები დაბრკოლება ხვდება...

ყოველივე ამის შედეგი კი, აი, რა საძაგლობა არის: დიდძალი ქართველობა სიებში შეტანილია 1) ისე გადამახინჯებით გვარ-სახელებისა, რომ ხშირათ ძნელია მიხვდე, ვინ უნდა იყოს იმ გვარის ადამიანი ჩვენში; ეს ვთქვათ რუსული ალფაბეტის ბრალია— ცივციშვაძე და წივწივაძე, ორივე Цивцивадзе-თ ჩაიწერება. 2) უფრო ბევრი ქართველის ბინას არ უწერია №, ვისაც № უწერია, იმას ქუჩა არ უწერია; 3) ხშირია ისეთი შემთხვევაც, რომ არც ქუჩა სწერია და არც ბინის №. ბევრი მარტო გვარით არის ჩაწერილი, ბევრის ბევრი უმამის სახელოთ არის აღნიშნული.

იცით ყოველივე ამას რა მოჰყვება?

ყველანი, ვის შესახებაც ასეთი „შეცდომებია“ სიებში, ხმის უფლებას მოკლებულნი დარჩებიან, რადგან მათ ვერ ჩააბარებენ საჭირო სიებს და სხვა ქაღალდებს, და ისინი იძულებულნი იქნებიან გარიყულნი დარჩნენ ამ მკვდართა აღდგომის დროს, როცა ყველანი სხვანი, უფრო ფხიზელნი და ანგარიშიანნი ადვილათ გადიან თავიანთ საერო ფონს.

მათი გარიყვის შედეგი კი იქნება, რომ ქართველები ვერ ავირჩევთ იმდენ ხმოსნებს, რამდენის არჩევასაც ახალი რევოლუციონური კანონი გვაძლევს უფლებას...

ერთხელ კიდევ გაიხარებენ ჩვენი მტრები. ერთხელ კიდევ მივცემთ მათ ხელში ჩვენს დასაკლავს დანას.

ქართველო, შეიგნე შენი ქართველობა, გაახილე თვალები: დაიცევ შენი კანონიერი ინტერესები და მტერიც მოყვრათ გაგიხდება, თორემ, თუ ახლაც ხელი აიღე შენს ინტერესებზე მოყვარეც მტრათ გადაგექცევა!

**ილია ჭყონია.**

# ნაციონალიზმი

საინტერესოა ვიცოდეთ საიდან და რა დროიდან მომდინარეობს ნაციონალიზმი.

საფრანგეთის დიდი რევოლიუცია დაიწყო 1789 წ. გენერალ შტატების მოწვევით. შტატებში წარმომადგენლობა დანაწილებული იყო წოდებათა შორის: თავად-აზნაურობის იყო 300 წარმომადგენელი, სამღვდელოებისა 300 და მესამე წოდებისა 600. თავიდანვე შტატების კრებაზე უთანხმოება ჩამოვარდა. მესამე წოდების წარმომადგენლები მთავრობას ოპოზიციაში ჩაუდგნენ და ეს ოპოზიცია ისე გამწვავდა, რომ სასტიკ ბრძოლათ გადაიქცა და თავად-აზნაურობას და სამღვდელოებასაც შეეხო. მაშინ ამათი წარმომადგენლები მთავრობას მიემხრნენ და მესამე წოდება განცალკევებული დარჩა. როცა მესამე წოდების წარმომადგენლებმა შეატყეს, რომ გამარჯვება მათკენ იხრებოდა, გამოეყვნენ თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას და თავიანთი კრება ნაციონალ კრებად გამოაცხადეს და შემდეგ დამფუძნებელ კრებადაც. ყოველი საკითხი ამ კრებაზედ მთელ ნაციის სახელით და იმისი ინტერესების დასაცველად ირჩეოდა.

როგორც ვიცით მთელი საფრანგეთი დაყოფილი იყო პროვინციებათ, და ყოველ პროვინციას თავისი მმართველობა ქონდა, თავისი პარლამენტი· ხშირად ერთი პროვინცია მეორესაგან თავისი ტამოჟნით იყო შემოზღუდული. ამ გვარივე პარლამენტი ჰყავდა, რა საკვირველია, დანგელოვის პროვინციასაც, და ამ პარლამენტმა თავისი წარმომადგენელი გამოაგზავნა დამფუძნებელ კრებაში და მოითხოვა, რომ მათთვის შეენარჩუნებიათ ძველი უპირატესობა და პრივილეგიები. დამფუძნებელმა კრებამ, სადაც მონაწილეობდნენ დანგელოვის მესამე წოდების წარმომადგენლებიც, ერთ სამით უარჰყო ეს მოთხოვნილება მთელი ნაციის მთლიანობასა და ყოველი ფრანგის კანონის წინაშე თანასწორობისათვის.

აი ასე დაიბადა ნაციონალიზმი. საფრანგეთის რევოლიუციის იდეები მოედო მთელს ევროპას და ამ იდეებთან ერთად ევროპამ შეითვისა ნაციონალიზმი.

მესამე წოდებაში გამორიცხული იყო, როგორც ვთქვით თავად-აზნაურობა და სამღვდელოება, მაგრამ დანარჩენი ნაწილებისა სრულად იყო წარმოდგენილი: ბურჟუაზია, გლეხობა, მუშა და პროლეტარი სულ ერთად იყვნენ და ერთად იბრძოდნენ ძველ მთავრობისა და წესწყობილების დასამხობათ.

როცა რევოლიუციამ გაიმარჯვა, მაშინ აღმოჩნდა ინტერესების სხვა და სხვაობა, რამაც გამოიწვია კლასთა შორის ბრძოლა. ამ ბრძოლაში გამარჯვება დარჩა ბურჟუაზიას, როგორც უფრო მდიდარს, განათლებულს და მომზადებულ კლასს. ამ გვარათ ბურჟუაზია შეიქნა მატარებელი დიდი რევოლიუციის იდეებისა. თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ სამუდამოთ დაჰკარგა თავისი ძლიერება და გავლენა. საფრანგეთის ბურჟუაზიამ გაავრცელა მთელს ევროპაში დიდი რევოლიუციის იდეები და ნაციონალიზმი.

საფრანგეთის რევოლიუციას და მის იდეებს თითქმის მთელი ევროპა შეებრძოლა, და ამ ბრძოლაში საფრანგეთის ბურჟუაზია გამოდიოდა, როგორც მთელი ნაციის დამცველი.

როცა ნაპოლეონმა მთელი ავსტრია და გერმანეთი გასთელა, იქ გაისმა ხმა დიდ პატრიოტთა, რომელნიც მოუწოდებდნენ სამთავროებათ დაქსაქსულ გერმანეთის გაერთიანებისაკენ, რათა დაეცვათ მთელი ნაცია.

ამ ბრძოლიდან საფრანგეთი მაინცა და მაინც გამარჯვებული გამოვიდა, ყოველ შემთხვევაში დიდი რევოლიუციის იდეები ევროპაში გავრცელდა და დიდი პატივი მოიპოვა. ამასთან ერთად ბურჟუაზიამ ყოველგან იგრძნო თავისი ძალა, თავი წამოჰყო და პოლიტიკაში გავლენა მოიპოვა.

ამას მოჰყვა ის, რომ მთელს ევროპაში დიდი რევოლიუციის იდეების მატარებელი შეიქნა ბურჟუაზია და იგივე შეიქმნა ნაციონალიზმის იდეის ბელადი და მატარებელი.

**ბ. გ.**

# ადგილობრივი რეფორმა კავკასიაში

(ევანგულოვის წერილი)

გარეშე საქმეთა სამინისტროს სხდომის მეორე ყრილობა კავკასიის ადგილობრივ თვითმართველობის შესახებ— დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

უწყებაზედ იყო კითხვა—„საჭიროა თუ არა რეფორმა არსებულ ადმინისტრატიულ საზღვრებში, თუ საჭიროა წინასწარ [illegible] დღევანდელ გუბერნიების მიჯნებლობას ყრილობაზედ უთანხმოება არ გამოუწვევია. კამათობდნენ მხოლოდ თუ როგორ მოჰხდეს გადაყოფა. ზოგიერთების აზრით იგი უნდა მოჰხდეს ადგილობრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციების მიერ, იმ პირთა და ჯგუფებისაგან, რომელნიც დაინტერესებულან „status quo“-ს შენახვით, რომ საჭიროა საქმის პეტროგრადში, ცენტრში—გადაწყვეტა და „უმაღლესი არბიტრი“, რომელიც გაარკვევდა ყველა ერების მოთხოვნილებებს. სხდომის დანარჩენი წევრები „ზოგ ჯგუფთა“ გადაწყვეტილებას დასცინოდნენ. მათ შეუძლებლად სცნეს პროექტის წაყენება შინა საქმეთა სამინისტროში და მოითხოვდნენ საქმის გადაცემას ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტისთვის.

როგორც მოსალოდნელი იყო გაიმარჯვა შუა მიმდინარეობამ. სხდომამ დაადგინა, თვითვე შეადგინოს კავკასიის ახალ გუბერნიებად დაყოფის პროექტი და გაეგზავნოს გამიჯნულ დაინტერესებულ რაიონების მცხოვრებთ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი თავის მხრით ვალდებულ იყვნენ შეემუშავებინათ ინსტრუქციის პროექტი ადგილობრივ შეთანხმებითი კომისიებისთვის მსგავსად იმ წეს-რიგისა, რამაც ბრწყინვალე შედეგები მოგვცა ძალესიის იქითა მხარის გადაყოფამ. გადაწყვეტილია, საგუბერნიო გარდაქმნის პროექტი შეთანხმებითი კომისიების ინსტრუქციასთან ერთად გაეგზავნოს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს— მუშაობის ნაწილის დასრულების შემდეგ, სანამ გადაყოფას განიხილავდნენ ადგილობრივ—სხდომა განაგრძობს ადგილობრივ რეფორმის შემუშავებას სხვა ნაწილებში.

# პროფესორ ბენეშევიჩის ოდისეა საქართველოში

(ვოლხოვსკის წერილიდან)

116 წლის წინედ, გენ. ტორმასოვის განკარგულებით ივერიის ეკლესიის ავტოკეფალური უფლებანი აჰყარეს. იგი, არც თუ ძლიან მამაცი გენერალი ჰგრძნობდა, რომ ივერიის ეკლესიის არსებობა „უხერხული“ იყო და ისეთი ბრძანებით, როგორც უბრძანებდა ხოლმე თავის პოლკს—გაბედა და უძველესი ქართული ეკლესია დაადუმა. მთელი საუკუნე სცდილობდა ქართველი ერი აღედგინა თვისი შელახული უფლებანი მაგრამ ხეპრე სკალოზუბები არა ჰსთმობდნენ თავიანთ პოზიციას.

დღეს ჩვენ გავანადგურეთ სკალოზუბოვების სისტემა, მივინიჭეთ თავისუფლება. მაგრამ... რა მიიღო ჩვენგან საქართველოს ეკლესიამ? ისევ დასტრიალებს თუ არა მას სული ტორმასოვისა.

ნაღვლიან პასუხს იძლევა ამაზე სინამდვილე.

როგორც ვიცით მარტის 12-ს ერთს სურვილით საქართველოს უძველეს დედა ქალაქ მცხეთაში აღიარებულ იქმნა ქართულ ეკლესიის საავტოკეფალო უფლებანი. დროებით მთავრობამაც იგი საგანგებო აქტით დაადასტურა და ქართულ ეკლესიის საქმეთა მოსაწესრიგებლად გაგზავნა პროფ. ბენეშევიჩი და აი, ისტორიულ ერის სულიერ ცხოვრების ბედი ბენეშევიჩის ჩემოდნებს მიექსოვა.

სანაღვლოა და საცინელიც, მაგრამ უნდა ვაღვიაროთ, რომ პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორის ჩემოდნებმა თბილისში დიდმნიშვნელოვანი და არც ისე საპატიო როლი ითამაშეს.

აპრილის 18-ს პროფესორს წარუდგა ქართველების საგანგებო დელეგაცია, რომელიც სთხოვდა რუს ექსარხოსის სახლი საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრესა გადმოეცით და აგრეთვე დავადგინოთ: რომ ქართულ ეკლესიის ბედი კათალიკოსის მოსაყდრემ განაგოს და რუსის ეკლესიის საქმეები კი —ექსარხოსმა ხოლო შერეულ მრევლის საგანგებო ქართულ-რუსულ კომისიამო.

საჩხუბარი და საჩაცილო თითქოს არა იყო რა! ექსარხოსის სახლი ცარიელი იდგა და დანარჩენი თხოვნაც ხომ ბუნებრივი წესრიგით იყო წარმოდგენილი. ბენეშევიჩი წარბ შეუხრელად დასთანხმდა თუმცა ქართულ-რუსულ კომისიის საქმეში რამდენიმე ხერხი იხმარა. იმავე დღისით ბენეშევიჩი გადავიდა რუს ექსარხოსის პლა-

ლად ძალზე აჭრელებული, ტერიტორიულად არაფერს დაჰკარგავს, ხოლო საქართველო კი, გაცილებით უფრო მთლიანი ეთნოგრაფიულად დაჰკარგავს ძირეულ ქართულ ოლქებს და ეს იმიტომ მხოლოდ, რომ ეთნოგრაფიულად აჭრელებული ოლქები სომხეთისა—ცენტროში მდებარეობენ და არა განაპირებზე, როგორც საქართველოში. ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს, თუ რა სიდუხჭირეს წარმოადგენს რეალური მოსახლეობის პრინციპის იმნაირი გაგება, როგორსაც ამას ჩვენში ვხედავთ. როცა თვითეული მხარის რეალურ მოსახლეობაზე ვმსჯელობთ, სხვდველობაში უნდა გვქონდეს ცალკე კუთხეები კი არა, არამედ მთელი მხარე, უნდა გამოვდიოდეთ ქვეყნის მრთელი ეთნოგრაფიული შემადგენლობიდან. თუ ამ ერთად-ერთი სწორის თვალთახედვით მივუდგებით საკითხსა, და მრთელ საქართველოს მოსახლეობას შევუდარებთ მრთელი სომხეთის ან ადერბეჯანის მოსახლეობას, ეს შედარება, როგორც აღნიშნული იყო, ქართველების სასარგებლოდ ილაპარაკებს. ამასთანავე დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაშიაც, რომ თუ კი ადერბეჯანში არ დაიხარგება 30—35% უცხოელებისა, და სომხეთში 45%, მით უმეტეს საქართველოში მოსახლე 25% უცხოელების ეროვნული უფლებები არა ნაკლების სავსებით იქნებიან დაცულნი.

არის კიდევ სხვა პირობები, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სასარგებლოდ ლაპარაკობს და მათ შორის ყველაზე წინ ეკონომიური ვითარება საქართველოსი. საქართველო წარმოადგენს ერთს ორგანიულს ეკონომიურ მთლიანს. საქართველო არის არა ოცი ან ოცდა ორი მაზრა, ორით მეტი ან ნაკლები, არამედ ერთი მთლიანი ბუნებრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული და ამიტომაც ერთი გაუყოფელი სამეურნეო-ეკონომიური ერთეული. საქართველო მიიგავს ციხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები აკრავს. ჩრდილოეთიდან მას არტყია კავკასიონის ქედი, სამხრეთით სომხეთის პლატოდან გაჰყოფს მთების მრთელი ბარიერი, დასავლეთით მას ზღუდავს ზღვა, და მხოლოდ აღმოსავლეთ-სამხრეთის მხრიდან ეკვრის იგი ადერბეჯანის ველსა, მაგრამ აქედანაც მას მტკვარზე მიბჯენილი ჰერეთის უდაბური ველი გაჰყოფს. საქართველოს ამ გეოგრაფიულ მთლიანობას სავსებით შეეფარდება ეკონომიური მისი მთლიანობა. ამ ზღუდეებში მოთავსებული მხარე-კუნძული წარმოადგენს ერთ ქვეყანას, ერთნაირის ბუნებით, ერთნაირის ეკონომიური პირობებით. თვითეული მისი მხარეები ისეთი მჭიდრო და განუკვეთელის ეკონომიური კავშირით არიან გადაჯაჭვულნი ერთიმეორესთან, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია დამოუკიდებელი ეკონომიური ცხოვრება მთლიან საქართველოს გარეშე. მომხსენებელმა გადაუშალა საზოგადოებას ტენდენცია საქართველოს უფრო მჭიდრო გაერთიანებისა ეკონომიურ ნიადაგზე თავის ბუნებრივ საზღვრებში.

**პავლე ინგოროყვა.**

(დასასრული იქნება)

ტონის სადგომში, რამაც ფრიად გააკვირვა ქართველები მაგრამ პროტესტი არ განუცხადებიათ, რადგანაც შედეგებიც მალე მოჰყვა.

აპრილის 19-ს „არბიტრმა“ განაცხადა კომისიის შუამდგომლობას ვედარ დავაკმაყოფილებო.

— მაგრამ, თქვენ ხომ გუშინ დაგვთანხმდით. გაკვირვებით შეეკითხა მოსაყდრე ბენეშევიჩი გაწითლდა ნერვები აეშალა და ბრძანა ჩემოდნები ჩამილაგეთ თბილისიდან მივდივარო.

— რწმუნებულებაზე ხელს ვიღებო—განაცხადა „არბიტრმა“.

მაგრამ ამავ საღამოთი გახსნეს ჩემოდნები და პროფესორმა კიდევ რამდენიმე დღით გაამედნიერა თავისი ყოფნით თბილისი.—რომ დრო არ დაგვეკარგოს მუქთად, აირჩიეთ 6 კაციანი კომისია რუს-ქართველთა ინტერესების გასამიჯნავადაო.

მიიღო რა მხედველობაში ბენეშევიჩის წასვლა ქართულ ეკლესიის დროებითი მმართველობამ, დეპეშით სთხოვა მთავრობას, ახალი დროებითი რწმუნებული გამოგვიგზავნეთო.

მაშინ აპრილის 20-ს საღამოთი ბენეშევიჩმა განაცხადა:

— მე არ მივდივარ, დავრჩები საქმის გათავებამდე, მაგრამ ამოირჩიეთ 8 კაციანი კომისიაო.

კომისია დასთანხმდა რვა კაცის ამორჩევას, მაგრამ მოაგონდა მის მიერ უკვე მიღებული პრინციპი—საქმის გადაწყვეტაში.

დროებით რწმუნებულმა ყოყმანით უპასუხა·

21-ს დაიწყო საგანგებო კომისიის სხდომა სინოდალ კანტორის პროკურორის მონაწილეობით. მდივნების მაგივრად და კანტორის 4 მოხელე. შემარიგებელ სხდომის ნაცვლად დაიწყო სამართალი ქართულ ეკლესიისა. დასასრულ ერთ რუსთაგანმა სთქვა:

— რაზედ ვიყოფით, იქნებ ყველაფერი ძველებურად დარჩეს?

ასეთივე „ძველებურად“ დარჩენის სურვილი განაცხადა ბენეშევიჩმა.

ქართველების განცხადებას კი მან უპასუხა:

— თქვენ მახვევთ თავზე თქვენს შეხედულებებს. მეორე დღეს, „არბიტრმა“ დროებით მართველობას წერილი გამოუგზავნა. წერილში განაცხადა:—„მე როგორც დროებით მთავრობის წარმომადგენელს, ყველა მოქალაქე უნდა მეშველებოდეს და მემორჩილებოდეს, შეუძლებელია რომ საერთო სამუშაოს პირობები დამიდოთ. ამიტომ ვერას ვიტყვი იმ კითხვის საპასუხოდ, რომელიც ჩემთვის სრულიად უმნიშვნელოა და რომელსაც დროებით მართველობა მაძლევს.

ასე დემოკრატიულად ესმოდა თავისი მოვალეობა დემოკრატიულ მთავრობის წარმომადგენელს!

„უმნიშვნელოდ“ მიიჩნია ბენეშევიჩმა ის საკითხი, რომლითიც უნდა შემუშავებულიყო საერთო მუშაობის პირობები. ნუთუ საქართველოს კვლავ თავს ევლება სული გენ. ტორმასოვისა? ჰოი, უკვდავო სკალოზუბო!

ქართველებმაც დასთმეს ეს „უმნიშვნელო“ საკითხი. რას იზამთ! ზოგჯერ სიტყვის შებრუნება საშიშია.

დაიწყო შემთანხმებელ კომისიის მუშაობა. ქართველებმა ყველაფრის მოთმენა გადასწყვიტეს. ისინი ყველაფრის თანხმანი ხდებოდნენ ოღონდ აწეწილი საქმე მოერიგებინათ.

მაშინ „არბიტრმა“ ახალი კომბინაცია მოიგონა. მან დროებით მთავრობას გაუგზავნა წერილი 7 შეკითხვით, რომელიც აშკარად ჰპობდა საქართველოს ეკლესიის უფლებით და ამ წერილის შინაარი ქართველებმაც გაიგეს. და წერილობით მიმართეს პროფესორს. თქვენი შვიდი კითხვით წამოაყენებთ კანონიერი თემები, რომელიც თქვენს კომპეტენციაში არ შედიოდა და საქმესთანაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვსო. მაისის 9-ს ბენეშევიჩმა განაცხადა, რომ იგი მიემგზავრება პეტროგრადს „ძირითად საფუძველთა“ დასამტკიცებლად. (იხ. „პეტრ. ვედ.“ № 89).

— რა მდგომარეობაში სტოვებთ ქართულ ეკლესიას?—შეეკითხნენ ქართველები.—მან განაცხადა, რომ ამ საქმეთა მოსაწესრიგებლად შერეულ კომისიას დანიშნავს.

— შეადგინეთ ამ კომისიის სქემა წინადადებით მიჰმართა ბენეშევიჩმა. სქემა შეადგინეს. მიიღო რა იგი „არბიტრმა“ თავისი საყვარელი ფრაზა გაიმეორა:

დამოუკიდებელი ქართული ეკლესია იურიდიულად არ არსებობს.

ბენეშევიჩმა თვითვე შეადგინა მომავალ კომისიის სქემა და ორი თვის შემდეგ დროებით მთავრობას გამოუგზავნა. სანამ მას მართველობა განიხილავენ „არბიტრმა“ დროებით მართველობას აცნობა, ჩემოდნების ჩალაგება ებრძანაო.

ეს შესანიშნავი ჩემოდნები თბილისში ბევრჯერ გამოსულა თბილისის სცენაზედ.

— ბენეშევიჩმა ბრძანა ჩემოდნების ჩალაგება.

ეს იმას ნიშნავდა, რომ დროებითი რწმუნებული გაჯავრებულია.

ბენეშევიჩმა ისევ გახსნა ჩემოდნები. მაშასადამე გულიც გაიხსნა... „არბიტრმა“ „ძირითად საფუძვლის“ გარდა შეთხზა „პროექტი საფუძვლებისა“, რაზედაც უნდა დამყარდეს კავკასიის მართლმადიდებელ ეკლესიის მართვა-გამგეობა. რადგანაც ასეთ „პროექტს“ დიდი უთანხმოება შეჰქონდა ქართველებში, ამისთვის ქართველებმა პროტესტი განაცხადეს.

ბენეშევიჩმა ახლა კი სამუდამოდ ჩაალაგა ჩემოდნები. მაგრამ რად იჯდა ორი თვე თბილისში,—ქართველების ასადელვებლად? ან იმისთვის, რომ უარეყო საქართველოს ეკლესია? ქართველები გაკვირვებულნი არიან ასეთი სისასტიკით და ქართულ ეკლესიის მდგომარეობაც არანორმალურია. გენ. ტორმასოვის სული კვლავ ზეიმობს...

— ყველაფერი ძველებურადაა! უნდოდათ რაღაცის გაკეთება და ვერ შესძლეს. საქმე უფრო დააზიანეს და გოგოლის „გოროდნიჩის“ სიზმრისა არ იყოს:

— მოვიდნენ, დაჰსუნეს და წავიდნენ!“ („პეტ. ვედ.“).

## მე-XVIII-ე საუკუნის ბოლშევიკები

საფრანგეთის დიდ რევოლუციასაც თავისი ბოლშევიკები-კომუნისტები ჰყავდა. ისინიც მუდამ ცდილობდნენ, რომ შეხლილ სოციალისტურ ლტოლვილებათა რევოლუციონური ბრძოლა გაემწვავებინათ.

დიახ! საფრანგეთის რევოლუციასაც ჰყავდა თავისი ლენინელები, ვინც ქვეყნის ეკონომიურ დაშლისაგან ხსნას საზოგადოებიდან „მდიდრების“ განსაზღვრულ რიცხვის გამორიცხვაში მიაჩნდათ. დასასრულ დიდ რევოლუციის დროსაც ჰქონია ადგილი ისეთ ცდას, როგორიცაა საზოგადო ნაციონალურ რევოლუციონურ ხაზის კერძო კლასობრივ თუ წოდებრივ ნაწილებად დაყოფა. პირველ რევოლუციის ხანაში „კომუნიზმი“-ს მოძრაობას შმაგ დემაგოგის ჟაკ რუს აგიტაციის ეპიზოდიც ნათელ ჰყოფს.

მან 1793 წ. თიბათვის დამლევს კორდელიერების კლუბისა და პარიზის ყველაზე მემარცხენე გრავილეს და კეთილ ხმის (Bonne Nonovolle) სახელით კონვენტში კომმუნისტური თხოვნა შეიტანა.

შედარებით, ნაკლებს ახსოვს ეს ეპიზოდი. მინიე ამაზე სრულიად სდუმს; ტიერი გაკვრით იხსენიებს, ლუი ბლანი თავის „Histoire de la revolution francaise“-ში მხოლოდ 2—3 გვერდს უთმობს და უტოპისტურსა და „დემაგოგიურ ტარტიუფს“ უწოდებს.

მართალია „სამეცნიერო“ სოციალიზმის თვალსაზრისით ჟ. რუს და მის მოძრაობას მხოლოდ უტოპიად ჩვთვლით, მაგრამ, თუ მხედველობაში იმ ეპოქის პირობებს მივიღებთ, მაშინ კი რუს პროპაგანდას უარყოფით ვერ შევაფასებთ. მის საზოგადო სამართლიან დამოკიდებულებათა კონცეპცია რა თქმა უნდა, სენ-სიმონისტებისა და ფურიეს იდეიასაც (რომელიც უკვე გამომდინარეობდა ნაწარმოების სოციალიზაციისაგან) მაგრამ ეს პეტიცია, რამდენადაც მის თანამედროვე პარიზელ პროლეტარიატის ლტოლვილებათა გამომხატველია—ჩვენ ეპოქის ტენდენციებთანაც აქვს კავშირი. თვით მოძრაობას თავის ტაქტიკით გენეტიური კავშირი აქვს ლენინიზმთან.

ჟაკ რუმ კარიერა მასწავლებლობით დაიწყო. მალე ღვდლად ეკურთხა და ღარიბ მრევლში დიდი პოპულიარობით სარგებლობდა. მას, როგორც ჟორესი იხსენიებს თავის ისტორიაში „კეთილშობილური და ამასთან მეამბოხე სული“ ჰქვა. თვით რუ მარატთან მიწერილ წერილში თავის თავს ასე ახასიათებს: მე მჩქეფარე სისხლი მაქვს, მახვილი გულისთქმა. როდესაც ადამიანთა ეშმაკობას ვხედავ, არ ძალმიძს გატაცებით არ გამოვსთქვა ის, რასაც ვგრძნობ“.

ჟაკ რუ მალე გრავილეს სექციას ჩაუდგა სათავეში. მან მეტად შესტკიოდა გული ღარიბებზე და მალე დიდი პოპულიარობა მოიხვეჭა. გრავილიეს სექცია ერთი უკიდურეს მემარცხენეთაგანი იყო. მან დიდი მოქმედება გამოიჩინა 10 მარიამობისთვის რევოლუციის შემზადებაში; იგი აშურებდა კონვენტს და სასამართლოს ლიუდოვიკის საქმის გარჩევას და მის სიკვდილით დასჯაშიც მონაწილეობა მიიღო. სექციას თავის კომიტეტი სრულ დამოკიდებულებაში ჰყავდა და ერთხელ დანარჩენ 47 სექციას მოუწოდა, რომ კონვენტის სექციებზე ბრძანებლობის პრეტენზიას წინ აღდგომოდნენ, ჟ. რუ ჯერ ისევ წინად პარიზის ეკლესიებიდან მოუწოდებდა ხალხს: „სიკვდილი ხალხის უბედურობით გამდიდრებულებს“-ო.

როდესაც ეკონომიური განსაცდელი მეტად გაწვავდა და ხალხმა მღელვარება იწყო, ჟ. რუმ ახლა ქუჩაში აიმაღლა ხმა. რამდენიმე თვის შემდეგ კონვენტს შესაფერი თხოვნაც მიართვა. იგი მყვლეფავ ვაჭრების და აგრეთვე დანარჩენ „ხალხის წურბლების“ სიკვდილით დასჯას მოითხოვდა.

რა თქმა უნდა კონვენტმა რუს თხოვნა არ მოიწონა.

ტიურიომ „ვანდეინ ფანატიკოსების ღირსეული ამხანაგი“ (ასე უწოდებდა იგი ჟ. რ—ეს) მტრულ კოალიციის აგენტად ჩათვალა.

რობესპერმა რუს თხოვნა მის ცბიერებას მიაწერა, ვინაიდან (რობესპერის აზრით) რუს სურდა რომ კონვენტისათვის ჩირქი მოეცხო.

ვარრენი მას მეტად საეჭვო პირად სთვლიდა, რადგან როგორც იგი ამტკიცებდა, რუ სექციებში კონსტიტუციის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა. დასასრულ, ლევანდრი მოითხოვდა, რომ რუ ისეთ სექციაში გაეგდოთ, სადაც პატრიოტები იყვნენ, რადგან ლევანდრის აზრით, მხოლოდ ისინი გაუსწორდებოდნენ რუს.

მალე რუს ჩარხი უკუღმა დაუტრიალდა. გორამ მისა და მის მიმდევრების ვანდეიელ ყაჩაღების წინააღმდეგ სწრაფ ზომებს მიმართა, რადგან, გორას აზრით, ეს შმაგიანი ღვდელი სახალხო მღელვარებას ცეცხლს უმატებდა.

რობესპერმა თავის სიტყვაში, რომელიც თავისუფლების წინააღმდეგ შეთქმულობის გამო წარმოსთქვა, მეტად გაჰკიცხა რუ. იგი პირდაპირ რესპუბლიკის მტრად გამოაცხადა.

და აი რუმ გავლენა დაჰკარგა, კორდელიერებმა იგი, როგორც „ავაზაკი და ფანატიკოსი“ კლუბიდან განდევნეს. რუს მხოლოდ გრავილიეს სექცია და ეერთგულა, ჟორესი თავის „Histoire Socialiste“-ში ამბობს, რომ რუ მართალი იყო, როდესაც ეკონომიურ კრიზისის შესამსუბუქებლად კანონმდებლობით ზომებს მოითხოვდა. ბოლოს ეს ზომები მაინც მიღებულ იქმნა, მაგრამ რუ სხვა მხრივ იყო საშიში. მის აგიტაციით კონტრ-რევოლუციას შეეძლო ესარგებლნა. სახიფათო იყო სანკიულოტების სისხლიან გზისაკენ მოწოდება. დასასრულ რუ ჩრდილს აყენებდა კონსტიტუციას, კონვენტსა და თვით რევოლუციას. „Enragés“ (შლეგიანები) დამარცხდნენ. ერთი წლის შემდეგ იაკობინელებმა იგი ციხეში ჩასვეს. მას ხალხზე ბრძანებლობას სწამებდნენ.

ვანტოზის (საფ. რესპუბლიკის მე-6-ე თვე) პირველს „შლეგიან ღვდელმა“ მტრების ბრალდება ვეღარ აიტანა და დანით თავი მოიკლა. („უტ. როსიი“)

## კოოპერატიული მოძრაობა დუშეთის მაზრაში

მკათათვის 2-ში ქ. დუშეთში მოხდა დუშეთის მაზრის წვრილ კრედიტთა ამხანაგობების და მომხმარებელ საზოგადოებების წარმომადგენელთა კრება. კრებას დაესწრნენ ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის და მომხმარებელ საზოგადოების წარმომადგენელნი, მოხევეთა, სტეფანწმინდის წვრილ კრედიტისა და მომხმარებელ საზოგადოებისა, ბაზალეთის მომხმარებელ საზოგადოებისა, გრემისხევის მომხმარებელ საზოგადოების და წვრილ კრედიტისა, წილკნის მომხმარებელ საზოგადოების და წვრილ კრედიტისა და მცხეთის მომხმარებელ საზოგადოების და წვრილ კრედიტის ამხანაგობის წარმომადგენელნი.

კრება იყო მოწვეული დუშეთის მომხმარებელ საზოგადოების გამგეობის ინიციატივით, რომლის მიზანია დაარსოს სამაზრო კოოპერატივთა საერთო ტიპის კავშირი და მოიწვიოს სარევიზიო კავშირის ინსტრუქტორი.

კრება დაიწყო წვრილ კრედიტის ინსპექტორის დ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით, რომელმაც მოკლე მოხსენება წაიკითხა კავშირის შესახებ და საერთოდ მის მნიშვნელობაზედ. გაიმართა კამათი, რის შემდეგ ერთხმად გადასწყვიტეს ქ. დუშეთში დაარსდეს კოოპერატივთა კავშირი, მით უმეტეს, რომ ყველა ორატორების აზრით ამიერ-კავკასიის მომხმარებელთა საზოგადოების კავშირი სრულიად არ ემსახურება პროვინციის მომხ. საზოგადოებებს. ამის ფაქტები თვითეულ წარმომადგენელს მრავლად ჰქონდა მოტანილი. ხელმძღვანელობა და შემუშავება წესდებისა ან შეძენა მისი დაევალა დუშეთის მომხმარებელ საზოგადოების გამგეობას. კრებამ აუცილებელ საჭიროებათა ცნო, ვიდრე შეიმუშავებდეს წესდებას საერთო ტიპის კავშირისას უკვე არსებული კომისია მოსკოვში, თვითონ დაიარსოს ეხლავე კავშირი სარევიზიო ფუნქციებით და დაადგინა: მოწვეულ იქმნას ეხლავე ამ კავშირის ინსტრუქტორი, რომელსაც დაევალება ყოველნაირი საქმეების და ანგარიშების ხელმძღვანელობა ამნაირ დაწესებულებებისა. კრებამ აქვე შეიმუშავა ხარჯთაღრიცხვა მის მატერიალურ დაკმაყოფილებისა. ერთხმად გადასწყდა დაენიშნოს ინსტრუქტორს წლიურად 3000 მან., ხოლო სამგზავროთ 600 მ. ამ ხარჯების დასაფარავად კოოპერატივებმა უნდა იხადონ თავიანთ თითო წევრზედ წელიწადში თითო აბაზი. კრებამ მოიწვია კარგად ცნობილი ფასანაურის წვრილ კრედიტის ამხანაგობის თავმჯდომარე და იქაურ მომხმარებელ საზოგადოების საქმის მწარმოებელი (ბუღალტერი) ნ. კაიშაური, რომელიც ფარულის კენჭის ყრით იქმნა არჩეული.

მთელს მაზრაში 26 კოოპერატივია, მაგრამ ყველამ არ გამოგზავნა თავ-თავისი წარმომადგენელი. მიზეზი არ ვიცით, მხოლოდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ყველა კოოპერატიულ დაწესებულებებს მაზრაში თავის დროზედ ჰქონდათ შეტყობინებული. ეჭვი არ მებადება, რომ ამ ფრიად სიმპატიურ ნაბიჯის გადადგმაში მაზრის დანარჩენი კოოპერატივებიც არ ჩამორჩებიან უკან თავიანთ ამხანაგებს და ისედაც დაჩაგრულს და უკან ჩამორჩენილს მაზრას თვისის კეთილ მოქმედებით ხელს შეუწყობენ დიად აზრების განხორციელებას ხალხის საკეთილდღეოდ.

ქ. კავკასიძე.

## წერილი ჭიათურიდან

ჩვენი საზოგადოება ამ განვლილ ოთხის თვის განმავლობაში რა-რომ რევოლუციონურ ხანაში გადმოვდგით ფეხი ახალ ცხოვრებაში ჩაება. დაიყო ჯგუფებად—აირჩია მეთაურები და მოუფიქრებელ მოლოდინის ცდაში—თუმცა ჯერჯერობით იგივეობაა, რაც წინეთ იყო, მაგრამ ამას მდგომარე დროს აწერს და მოთმენილია. იგივეობა-კი შემდეგში გამოიხატება: შენი საკუთარი ოჯახიდან 10 გირვანქა ყველი ვერ მიგიტანია მატარებელზედ სადმე შენივე საჭიროებისათვის წასაღებად, სახლისა, ბინის და ბარგის გაჩხრეკას, ხომ წრეს გადაცილებულობაც შევიძლია ვუწოდოთ, მიწერ-მოწერა და ლაპარაკი, ხომ რუსულ ენაზედ სწარმოებს და სხვა და სხვა. აი რამდენად დაკანონებულია ჩვენსკენ ნაშთები ძველი წყობილებისა.

რომ ხალხში მეტი შეგნება შევიტანოთ მას წამლად ვერ დაედება მიტინგებზე წარმოთქმული მჭერმეტყველური სიტყვები—მას უნდა შეჯგუფება და დარაზმვა. სათავეში უნდა ჰყავდეს შეგნებული ელემენტები—რომ შეუგნებელ წინსვლით უკან არა დავხიოთ ცხოვრებას და არ ჩამოვრჩეთ. მაგალითისათვის მოვიყვან ნოქართა საპროფესიო კავშირის ამბებს დ. დ. ჭიათურასა და საჩხერეში. რვა საათის სამუშაოდან გადარჩენილი დრო ნოქრებმა უნდა გონების განვითარებას მოახმარონ. ეს კი ჯერ არ არის. ნოქრები თავისუფალ დროს ბილიარდ-ბანქონარდის თამაშობაში ატარებენ და რომ უფრო უვარგის ცხოვრებაში არ ამოჰყონ თავი და სიცოცხლე არ მოისწრაფონ მათთვის მოზადებაა საჭირო. ამასთან ერთად როცა ნოქარს თავის 8 საათი სამუშაო დღე უთავდება და [illegible]—ქარხნის პატრონს უფლება არა აქვს განაგრძოს სახელოსნოში მუშაობა. დალაქს ნება არ აქვს თუნდა თავის საკუთარ ბინაზედ თმა გაგკრიჭოთ—იგი ამისთვის 50 მანეთიან ჯარიმას გადიხდის. ეს განკარგულებები რა თქმა უნდა უკანონოა სოფლის მსგავს ისეთ დაბებში, როგორიცაა ჩვენი დაბები, სადაც სამუშევარზედ დროს შეფარდება ვერ არის მოწყობილი, როგორც ეს ქალაქებშია.

ცუდად მიმდინარეობს აგრეთვე თანამდებობის პირთა არჩევნები. პირადი ინტერესებით გამსჭვალულნი ეკიდებიან ამა თუ იმ პარტიას და სარგებლობენ ხალხის ხმით და რომ დღის წესრიგში შეტანილი კომისარობა იშოვნონ პროვოკაციას ეწევიან. საზოგადოებაში ამ ნიადაგზე განხეთქილება ხდება და იგიც იძულებულია ცხოვრებაში ჩაუხედავი ვინმე აირჩიოს.

მკათათვის 3-ს მოხდა დ. ჭიათურის კოოპერატიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება, როგორც გამოირკვა ფრიად მნიშვნელოვანი ფული დატრიალებულა. ძირითად თანხას—7000 მანეთს—13000 მანეთი მოგება შერჩენია და კოოპერატივს 60.000 მ. ღირებული საქონელი მოუტანია და გაუსაღებია. კრებაზედ მონაგებ თანხის განაწილებაზედ აღიძრა ბაასი, რიგი მოითხოვდა განაწილებულიყო აღმასრულებელ კომიტეტისა და მუშათა დეპუტატების საბჭოს სასარგებლოთ, მაგრამ მთელმა მოსაზრებამ გაიმარჯვა და დაადგინა, ამ თანხით გაიხსნას იაფი სასადილო, ტყავეულობის ფეხსაცმელების ქარხანა, რათა კოოპერატიულ საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება ხალხის ყურადღება დაიმსახუროს, შეძლებისა დაგვარად მიაწოდოს საქონელი ხელსაყრელ პირობებში.

შავი ქვის წარმოება დ. ჭიათურაში საგრძნობლად შემცირდა—ფირმებმა მუშა-მოსამსახურენი დაითხოვეს. მიზეზიც ქვის გაუსაღებლობაა. ტარიფის მომატებამ ხომ არამც თუ შავი ქვა მოსწყვიტა ბაზარს, არამედ პირველი და აუცილებელი საჭირო საგნებიც აღარ შემოდის და რაც კი იყო მთლად მიიმალ-მოიმალა და დაცარიელდა მაღაზია-დუქან-სავაჭროები.

აქეთ პურები გაიჭრა. მისმა მოსავალმა ვერაფერი ცვლილება შეიტანა პურის სიძვირეში—რამდენი ხანია შიმშილს განვიცდით. ორიოდ დღის სამყოფი ფქვილი-ღა შერჩა ჩვენს კოოპერატიულ საზოგადოებას. არსაიდან საშუალება არ არის ფქვილის მიღებისა—სოფლად საზოგადოებებში აირჩიეს ვითომდა შემარიგებელი კომისიები პურის მოსავლის ღალებზე შესარიგებლად—ეს კომისიები ზედმეტად უნდა ჩაითვალოს რადგან ხალხი იმ პირობებს უფრო ეთანხმება რა პირობებითაც შეჰპირებიან პატრონთ.

მკათათვის 3—4 ღამის 3 საათზედ დაიწვა სამსონ აბესაძის ორ-სართულიანი შენობა—ეს შენობა მისი ობლების სიმდიდრეს შეადგენდა—დაზღვეულიც იყო 3000 მანეთში—შიგ არავინ ცხოვრობდა და გასაკვირველია როგორ გაჩნდა ცეცხლი ისიც შიგნიდამ—ზარალი 8000 მანეთს აღემატება—ადგილის სივიწროვისა გამო დ. ჭიათურაში შენობები ზედ აკრავენ ერთი მეორეს და თუ ამ შენობის გადაწვამ სხვა შენობები არ ემსხვერპლა ეს უნდა მიეწეროს ხალხის თავგამოდებულ ბრძოლას ცეცხლთან.

შავი ქვის საბჭოს მოსამსახურეთა მტკიცე გაფიცვამ გაიმარჯვა. მათ მოთხოვნილება დაუკმაყოფილეს სამი ოთხი დღის გაფიცვის გამოცხადების შემდეგ.

გალ. ქავ—ძე.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

გაახლებთ 87 (ოთხმოც და შვიდ) მანეთს ვალერიან გუნიას გადასაცემად. ამ ფულის მოკლე ისტორია ასეთია: ბატონმა გუნიამ 25 ცალი ალმანახი („მადლობის დღე“) გამოუგზავნა ჩრდილოეთის ფრონტზე კაპიტან ივ. შარვაშიძეს თავის ნაცნობ-ამხანაგებში გასავრცელებლად.

აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს 25 ეგზემპლიარი ალმანახი წაიღო საერთო კრებაზე. 22 ცალი (თავის ფასით) თითო მანეთად გაიყიდა მხოლოდ დანარჩენ სამ ცალზე „აუქციონი“ გაიმართა. ორი გაიყიდა ოც-ოც მანეთად მესამე 25 მანეთად. ამნაირად 22 მან.+40 მან.+25 მან.=87 მან.

მ. იზხნელი.

P. S ფული გადაცემულია რედაქციაში. მ. ი.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადიან:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დილ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.12 | საღ. |

**თბილისში მოდიან:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.58 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 5, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

# 1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადულ“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2 დაწერილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე თოხენიძე თუმანიშვილი.

(291 46)

# საავადმყოფო

სასხიდრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარული ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

**ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.**

ბელანჯე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს აათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საშვილო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა დ საშვილო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—32

# თბილისის მრეწველნი
# ძმ. მესხელიშვილი

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 713.

ყოველ დღე მიიღება საკუთარ და საზღვარ-გარეთ სახელოსნოებიდან ახალი ქსოვილები, შალები, ... [illegible] ... ქალთა ... და ... [illegible] ... (წ.)